



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ატოცობა

ატოცობა, გიორგობა - ქვაშვეთობა, წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული რელიგიური დღესასწაული. იმართებოდა სოფ. ატოცში (ქარელის მუნიციპალიტეტი). იწყებოდა ოქტ. 1 ნახევარში და რამდენიმე კვირას გრძელდებოდა (შაბათ-კვირებით). ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ ქართლის დას. რ-ნებისა და ზემო იმერეთის მცხოვრებნი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); Б а к р а д з е Д. З., Кавказ в древних памятниках христианства, «Акты, собранные Кавказской археографической комиссией», 1875, т. 5, т. 6, ч. 2.

გ. ჯალაბაძე
